

ბანმარტეპითი ბარათი

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ჩამდინარე წყლების
გამწმენდი ნაგებობის რეაბილიტაცია

საინჟინრო გადაწყვეტა და ზოგადი აღწერა

ქალაქ ზესტაფონში, სოფ. ხოხოულაში არსებული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წყალსადენი საამქროში ჩამდინარე წულების გამწმენდი ნაგებობის შეკეთება. სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავებულია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საპროექტო განყოფილების მიერ 2017 წლის ოქტომბრის თვეში .

პროექტის მიზანია არსებული ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის დაზიანებული კედლის შეკეთება და მყარი, მოტივტივე ნარჩენებისაგან ნაგებობის გასაწმენდი საფეხმავლო ბილიკის აღდგენა.

პროექტირებისათვის გამოყენებულია საქართველოში მოქმედი შესაბამისი ნორმები და სტანდარტები, ასევე გათვალისწინებულია ადგილობრივი ფაქტორები და გარემოებები.

არსებული საპროექტო არეალის შესწავლის, გაანალიზებისა და ტექნიკური დავალების მოთხოვნების საფუძველზე, დამკვეთთან შეთანხმებით, პროექტირებისას მიღებულია შემდეგი ძირითადი პარამეტრები:

საპროექტო გადაწყვეტილებით და დამკვეთთან შეთანხმებით პროექტით გათვალისწინებულია 36 მეტრი სიგრძის კედლის დაზიანებული ნაწილების მოყვანა პირვანდელ მდგომარეობაში, საფეხმავლო ლითონის ბილიკის მოწყობა მიახლოებითი სიგრძით 50 მ, სიგანით 1 მ. ბილიკზე ასასვლელად ლითონის კიბის მოწყობა.

აღსადგენი კედელიზე უნდა მოხდეს დაზიანებული ბეტონის ფენის მოშორება. გაიწმინდოს ტერიტორია ტექნიკის მისასვლელად და დაიცალოს ნაგებობა წყლისაგან.

შეკეთების სამუშაოებისათვის ყველა საინჟინრო გადაწყვეტილება, ასევე მოცულობები შესრულებულია დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

საინჟინრო ნახაზი მოცემულია შესაბამის პროექტში.

მშენებლობის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ახალი გარემოებების შემთხვევაში მშენებელი ვალდებულია მიმართოს დამკვეთს და იხელმძღვანელოს მისი მითითების შესაბამისად.

სამუშაოთა ორგანიზაცია

სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შესრულდეს მოქმედი სტანდარტების, ნორმების, ინსტრუქციების და რეკომენდაციების სრული დაცვით.

შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და მშენებლობის ხანგრძლივობის მაქსიმალურად შემცირების მიზნით მიღებულია სამუშაოების კომპლექსური მექანიზმებით და სპეციალიზებული საწარმოო ბრიგადებით შესრულება, შრომის ორგანიზაციის თანამედროვე მეთოდებისა და ფორმების გამოყენებით.

სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები ტიპიურია და უნდა შესრულდეს BCH 24-88- ის და СНИП 3.06.03.85-ის შესაბამისად.

ყველა მასალა, ნახევარფაბრიკატები და კონსტრუქცია უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო მონაცემებს, სათანადო სახელმწიფო სტანდარტებს, და უნდა აკმაყოფილებდეს მათ მოთხოვნებს.

შრომის დაცვა და უსაფრთხოება

მომუშავთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა სამუშაოთა წარმოების ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე“ და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტრო-სადენები და ელექტრო მოწყობილობები კი იზოლირებული. გამიშვებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

აუცილებელი პირობაა: სამუშაოთა წარმოების სიახლოვეს 6 მეტრის რადიუსში არ უნდა იმყოფებოდნენ დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეები და უცხო პირები.

სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცხრილებში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი და სხვა მექანიზმების გამოყენებაც.

სამუშაო ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკეტით).

დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

მანქანა-მექანიზმების მუშაობის პერიოდში მის სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირებით.

მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეც.ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა) და ასევე უნდა სრულდებოდეს

საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებები (სამუშაო ადგილის შემოფარგვლა, უსაფრთხოების ღონისძიებები). უნდა იყოს გზაზე მომუშავეთათვის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობები, თავშესაფარი წვიმის და მზის რადიაციისაგან.

აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის და ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა, მათი სწავლება ყველა მომუშავეთათვის. სამუშაოს დაწყების წინ ინსტრუქტაჟის ჩატარება, უსაფრთხოების წესების სწავლება, საგზაო მანქანებს უნდა ქონდეთ გამართული ხმოვანი შუქსიგნალიზაცია და საგზაო მანქანების სადგომი უნდა იყოს შემოფარგლული ავარიული გაჩერების წითელი სიგნალებით და ბარიერებით დღისით, წითელი ფერის სასიგნალო შუქფანრით ღამით.

მშენებელი ორგანიზაცია პასუხისმგებელია და ვალდებულია სამუშაოები აწარმოოს უსაფრთხოების, შრომის, საწარმოო სანიტარიის წესების სრული დაცვით.

გარემოსდაცვითი ღონისძიებები

დასაშლელ სამუშაოთა პერიოდში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტკერიანებისაგან თავის ასაცილებლად.

დაუშვებელია მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

მანქანა-მექანიზმების და ხელსაწყოების ჩამონათვალი

№	მანქანა-მექანიზმის და ხელსაწყოების დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>	<i>4</i>
1	ავტოვითმცლელი	1	
2	ბეტონმზიდი	1	
3	პნევმატური ჩაქუჩები	2	
4	ავტო ამწე	1	
5	მომსახურე მანქანა	1	

გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე სამუშაო ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე სამუშაოები უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

მოსამზადებელი სამუშაოებისა და უშუალოდ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას, მშენებელი ვალდებულია დაიცვას ქვემოთ ჩამოთვლილი და სხვა შესაბამისი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული ღონისძიებები:

- სამუშაოების დამთავრების შემდეგ, სამუშაო ადგილი და სამშენებლო მოედანი უნდა გასუფთავდეს ყოველგვარი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვისაგან.
- აკრძალულია ნამუშევარი ნავთობპროდუქტების და სხვა სახის ნაგვის ჩაღვრა/ჩაყრა მდინარის კალაპოტში.
- აკრძალულია მანქანა-მექანიზმების რეცხვა მდინარის ნაპირზე. მათ გასარეცხად უნდა მოეწყოს სპეციალურად აღჭურვილი ადგილები.

ინჟინერ-პერსონალის ჩამონათვალი

№	თანამდებობა	რაოდენობა	შენიშვნა
<i>1</i>	<i>2</i>	<i>3</i>	<i>4</i>
1	პროექტის მენეჯერი	1	
2	სამუშაოთა მწარმოებელი	1	
3	უსაფრთხოების ინჟინერი	1	
4	ოპერატორი	1	ბეტონმზიდი
5	ოპერატორი	1	ავტოამწე
6	მძღოლი	1	ავტოვითმცლელი

სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკი

	სამუშაოების ჩამონათვალი	5 დღე	5 დღე	5 დღე	5 დღე	5 დღე	5 დღე	5 დღე	5 დღე	5 დღე
1	მოსამზადებელი სამუშაოები, მობილიზაცია									
2	მისასვლელი გზის გაწმენდა და ავზის დაცლა									
3	დაზიანებული კედლის ნაწილობრივ დაშლა და გატანა									
4	დაზიანებული კედლის აღდგენა									
5	ლითონის ბილიკის მოწყობა									
6	ტერიტორიის დასუფთავება.									

